

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება
საქართველოში: კერძო და საჯარო სექტორის როლი ევროკავშირის
სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში და ძირითადი გამოწვევები

მარიამ ბიბილეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ გველეხიანი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბიბილეიშვილი

21.06.2025

აბსტრაქტი

გლობალური გამოწვევების ფონზე ბიზნესის როლი ეტაპობრივად სცდება ტრადიციულ ეკონომიკურ ჩარჩოებს და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ყალიბდება სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევის პროცესში. სწორედ ამ კონტექსტში ვითარდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფცია, რომელიც საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა.

CSR-ისადმი მზარდმა ინტერესმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევროკავშირის პოლიტიკაზე და მისი არაერთი დირექტივა უკვე ითვალისწინებს CSR საქმიანობის ნებაყოფლობითი ფორმის სავალდებულო სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას. საქართველო, რომელმაც 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი და პარტნიორი ქვეყნის სტატუსი მიიღო, ევროკავშირის სტანდარტებთან სამართლებრივი და ინსტიტუციური ჰარმონიზაციის პროცესში იმყოფება. აღნიშნული პროცესი მოითხოვს როგორც სამართლებრივი ჩარჩოს, ისე პრაქტიკული მექანიზმების შესაბამისობას ევროკავშირის მიდგომებთან და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციის დინამიკა ბოლო პერიოდში გარკვეული შეფერხებებით ხასიათდება, სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესი სრულად არ შეჩერებულა და მის გარკვეულ კომპონენტებზე მუშაობა კვლავ გრძელდება. ამ კონტექსტში, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გაკეთდეს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების კომპლექსური ანალიზი მისი ისტორიული ფონის, სამართლებრივი ჩარჩოსა და ინსტიტუციური პრაქტიკის განხილვის საფუძველზე. ნაშრომში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება გაანალიზდეს საქართველოს გამოცდილება ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესის პარალელურად, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე.

ნაშრომი ეფუძნება როგორც დოქტრინულ წყაროებს, ისე ევროკავშირისა და საქართველოს მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, ასევე ემპირიული კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. გამოყენებულია შედარებითი ანალიზის

მეთოდით, რაც ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკის შეფასების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანგარიშგების პოლიტიკას, მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ხარისხსა და გარემოსდაცვითი რეგულაციების პრაქტიკულად განხორციელების საკითხს. დოკუმენტური და ემპირიული წყაროების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრაქტიკული და სამართლებრივი გამოწვევები, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების არასაკმარისი ჩართულობის, მდგრადობის ანგარიშგების დაბალი დონისა და გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ზედაპირული მიდგომის პრაქტიკა.

წინამდებარე კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საქართველოში CSR ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სისტემურად ჩამოყალიბებულ კონცეფციას, ხოლო მისი ეფექტური განვითარება მოითხოვს არამხოლოდ სამართლებრივი ჩარჩოს ფორმალურ ჰარმონიზაციას ევროკავშირის დირექტივებთან, არამედ ისეთი სტიმულირების მექანიზმების შექმნას, რომელიც წაახალისებს კერძო სექტორს - განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებს - უფრო აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი მიზნების რეალიზების პროცესში.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ხაზგასმით აჩვენებს, რომ ეფექტური და მდგრადი CSR პრაქტიკის გატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც კერძო და საჯარო სექტორი თანაბარი პასუხისმგებლობით იკისრებს სოციალურ და ეკოლოგიურ გამოწვევებზე რეაგირებისთვის აუცილებელ ვალდებულებებს. სწორედ დაბალანსებული სამართლებრივი ჩარჩო, ასევე პარტნიორობასა და დიალოგზე დაფუძნებული თანამშრომლობა წარმოადგენს იმ აუცილებელ წინაპირობას, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს CSR პოლიტიკა გარდაქმნას დეკლარაციული მიდგომიდან ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად.

საკვანძო/სადიებო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, CSR საქართველოში, პასუხისმგებლიანი ბიზნესი, CSR, ევროკავშირის სტანდარტები, ბიზნეს ეთიკა, მდგრადი განვითარება.

Abstract

In the context of global challenges, the role of business is gradually moving beyond traditional economic frameworks and is becoming an important instrument during the process of achieving social and environmental goals. It is within this context that the concept of Corporate Social Responsibility (CSR) is developing, which, in Georgia is in the early stages of development.

The growing interest towards CSR has had a significant impact on the EU policy and a number of its directives already aim the transformation of the voluntary CSR activities into legally binding frameworks. Georgia, which signed an Association Agreement with the European Union in 2014 and received the status of a partner country, is currently engaged in the process of legal and institutional harmonization with the EU standards. This process requires compliance of both, the legal framework and practical mechanisms with the EU's approach and although the dynamics of the country's EU integration have recently experienced certain setbacks, the process of legal harmonization in certain areas remains ongoing. In this context, the paper aims to conduct a comprehensive analysis of the development of Corporate Social Responsibility in Georgia, based on the review of its historical background, legal framework and institutional practice. The research places significant emphasis on analyzing Georgia's experience in the context of harmonization with the EU standards, which is especially relevant during the country's ongoing European integration.

The paper is based on both, doctrinal sources and official documents adopted by the European Union and Georgia, as well as, the analysis of empirical researches and statistical data. A comparative analysis method is also used, which allows the assessment of practices in EU member states. Special attention is paid to reporting policies, the level of involvement of small and medium-sized enterprises and the issues of practical implementation of environmental regulations. Based on documentary and empirical analysis, several practical and legal challenges have been identified, including insufficient involvement of small and medium-sized enterprises, low level of sustainability reporting and the practice of superficial approach towards environmental issues.

The research has shown that despite some progress, CSR in Georgia is still not a systematically established concept and its effective development requires not only the formal harmonization of the legal framework with EU directives, but also the creation of incentive mechanisms that encourage the private sector – particularly small and medium-sized enterprises – to engage more actively in the process of realizing social and environmental goals.

The analysis presented in the paper clearly demonstrates that the implementation of effective and sustainable CSR practices is only possible when both, the private and public sector, share the responsibilities equally while addressing social and environmental challenges. A balanced legal framework, along with cooperation based on partnership and dialogue is the necessary precondition that will allow Georgia to transform CSR policy from declarative approach, to an integral part of the country's development strategy.

Keywords: Corporate Social Responsibility, CSR in Georgia, Responsible Business, CSR, European Union Standards, Business Ethics, Sustainable Development.